სახალხო ფურცელი

№ 820 ხუთშაბათი, 16 მარტი 1917 წ. № 820

განცხადების ფასი.

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ხომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, почт. ящ. 190.

ტელეფონი 12-25

ამხანაგებო, მოქალაქენო! მოითხოვეთ საქართველოს ავტონომია!

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია

მიესალმება განთავისუფლებულ რუსეთის ხალხს და უსურვებს სრულს გამარჯვებას რევოლიუციას.

პარტია დარწმუნებულია, რომ დროებითი მთავრობა, რომელიც უნდა ემყარებოდეს ფართო მშრომელს ხალხს—მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების თანაგრძნობას და თანხმობას, დაუყონებლივ განახორციელებს სრულს პოლიტიკურს ამნისტიას—ამ ამნისტიის დროს განთავისუფლებულ უნდა იყვნენ ის მაჭმადიანი ქართველებიც, რომელნიც უსამართლოდ დაისაჯნენ ძველის წეს-წყობილების პროვოკაციის წყალობით აჭარელთა პროცესში, დაამყარებს სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირის, გაფიცვის და სინიდისის თავისუფლებას და მიანიჭებს ქალებს უფლებრივ თანასწორობას მამაკაცებთან, დააწესებს ყველგან დემოკრატიულს თვითმართველობას, მოსპობს წოდებრივობას და ეროვნულს შევიწროვებას და შეუდგება დამფუძნებელი კრების მოწვევას საყოველთაო თანასწორი, პირდაპირის და ფარულის კენჭის ყრით სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების სახის შესამუშავებლად.

პარტია დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოს განახლებისა და გარდაქმნის დროს დაკმაყოფილებული იქნება რუსეთის ყველა ერის პოლიტიკურ-ეროვნული მოთხოვნილება, განხორციელდება საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია და მით ქართველ ერს მიეცემა საშუალება სრული კულტურული და ეკონომიური განვითარებისთვის.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია მხარს უჭერს დროებითს მთავრობას ამ დემოკრატიული პროგრამის განხორციელებაში და დაეხმარება ყოველის ღონით ახალის თავისუფალი წეს-წყობილების განსამტკიცებლად.

ტფილისი, 16 მარტი, 1917 წ.

კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობა.

შაბათსა და კვირას, 18—19 მარტს ტფილისში მოხდება ყრილობა ამიერ-კავკასიის ქალაქების და დაბათა აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენელთა. ქალაქ ტფილისსა და ბაქოს ხუთი ხმა ექნება, სხვა საგუბერნიო ქალაქებს ორ-ორი, ქალაქებს და დაბებს—თითო. სულ დაესწრება ყრილობას 114 კაცი.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტია ამ საქმის მესვეური, იგი კომიტეტი დიდ სიჩქარეს იჩენს და ასრულებს საქმეთ, რომელთაც მოგვარება შეეძლის მხოლოდ და მხოლოდ კომისარიატის (კავკასიის) უფლებრივ კომპეტენციაში. მაგრამ როგორც საბერძნეთის სოფისტები ამბობდნენ—უფლება ძალაა, ეხლაც ძალა სთესს და ძალა ხნავს. ამიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენელნი შეიკრიბებიან და გადასწყვეტენ ფრიად დიდ საკითხებს. ეს კრება ტონს მისცემს ძველ ადგილობრივ ცხოვრებას, ის შექმნის სამიერ-კავკასიო ორგანოსაც და ფაქტიურად შეიქმნება ბრძანებელი თვით საკავკასიო კომისარიატის. რასაკვირველია ამ მიზნით ჩქარიან ამ ყრილობას.

მართლაც, დაყოვნება შეუძლებელია, მაგრამ შეუძლებელია ყოველმა ქალაქმა და დაბამ შაბათ-კვირისათვის აღასრულონ მოვალეობა. საამისო ცირკულიარული მიწერილობა ტფილისის საქალაქო კომიტეტმა დაგზავნა მხოლოდ ორშაბათს, ასე რომ ცნობას ადგილობრივ მიიღებენ მხოლოდ ოთხშაბათ-ხუთშაბათს, გაზეთებში კი სათანადო განცხადება დღემდე არ ყოფილა. ასრე რომ პროვინციის დიდი ნაწილი ყრილობის ამბის გაგებას მოასწრებს, კომიტეტის შედგენას, წარმომადგენელის ამორჩევას და მანდატით გამოგზავნას—ვერა. გარდა ამისა ტფილისის კომისარიატს თავიდანვე უნდა გამოერკვია რომელი ადგილები მიაჩნია დაბად, რომელი სოფლად, რომ 18 მარტისათვის დაბა არ დარჩენილიყო წარმოუდგენელ ან სოფელი არ ყოფილიყო წარმოდგენილი. ქუთაისის გუბერნიაში ოფიციალური წყაროების მიხედვით დაბად ითვლება: ხონი, ჭიათურა, საჩხერე, ზესტაფონი (ყვირილა), ახალსენაკი, სუჯუნა, ზუგდიდი, ხოპი, ანაკლია და ონი. ისეთი ადგილები, როგორც არის სამტრედია, ლანჩხუთი, ჩოხატაური და სხ. დღესაც სოფლად ირიცხებიან და მაშასადამე წარმომადგენლობის უფლება არ ექნებათ. ქუთ. გუბერნიაში სულ ოთხი ქალაქია: ქუთაისი, ფოთი, ოზურგეთი და რედუტ-კალე. გაურკვეველია მდგომარეობა ტფილისის გუბერნიაში, სხვა მხარეშიაც და ამას თავის დროზე უნდა მიექციათ ყურადღება.

ვიმეორებთ, ყრილობაზე დასწრება ფრიად საჭიროა, იგი გამოარკვევს სახეს ამიერ-კავკასიის მართვა-გამგეობისას და სათანადო შეხედულებით კავკასიის კომისარიატს აიძულებენ კავკასიის საქმეების კომისარს პეტროგრადში—ნაბოკოვს უმაღლეს დაწესებულებიდან გამოათხოვნინოს სათანადო უფლება. წარმოუდგენლად დარჩენილ ქალაქსა და დაბას შეეძლება სხვა დროსთვის გამოგზავნოს დელეგატი, მაგრამ თუ ეხლა შეიკრიბა კანონიერი რიცხვი დელეგატებისა საკითხებიც გადასწყდებიან და შესაძლოა მეორე კრებაც აღარ მოიწვიონ.

ამნაირად რაც შეიძლება ყველამ უნდა გამოგზავნოს წარმომადგენელი, თუ შაბათისათვის ვერ მოასწრონ, ნუ დაჰკარგავენ კვირას, რადგან ყრილობა ორ დღეს გაგრძელდება და კვირის მუშაობას უფრო მეტი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

ყრილობისათვის შედგენილ დღის წესრიგში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი სასურსათო საქმეს, მაგრამ საკითხის სიმძიმე და უმთავრესი ინტერესი მის პოლიტიკურ სახეობაშია. ჩვენ ვიცით, რომ ამიერ-კავკასიის ყრილობა პროტოტიპი იქნება ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტისა, იმ დომხალის, რომლის თაყვანისმცემელი ხატისოვი და ჟორდანიაა, ერთად თავს მოუყრიან სომეხს, თათარს, რუსს, ქართველს, ოსს და ვინ იცის ვის არა და ისე კი, რომ ლელო ადვილად გაიტანოს ხატისოვ-ჟორდანიას ბლოკმა. რამდენადაც ვიცით, ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი უფრო კარგად, თადარიგიანად იქნება წარმოდგენილი, ვიდრე საქართველო, ეს—რასაკვირველია—ხელს შეუწყობს მორჩილებით სხვა და სხვა საკითხის სწრაფად გადაწყვეტას.

დაბა-ქალაქებმა უნდა გამოგზავნონ რუსულის მცოდნენი. ხატისოვ-ჟორდანიას დემოკრატიულ წყობილებამ არ იცის დედა-ენის ხელმწიფება, ეროვნულ ყრილობათა მაგიერ აწყობენ დომხალს, სადაც თავისთავად გაბატონებული იქნება რუსული ენა. მოგვეხსენებათ თარგმნობის სიდუხჭირე და ამიტომ უმჯობესია რუსულ ენის მცოდნეების გამოგზავნა, რომელნიც—რა თქმა უნდა—კომიტეტის დავალებას სინიდისიერად შეასრულებენ. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება რუსულის არ მცოდნის გამოგზავნა.

ადგილობრივმა მოღვაწეებმა განსაკუთრებით მშრომელმა ხალხმა უწყის რა ძვირფასია მისთვის დედა ენა, ადგილობრივ დიდი საკითხების გადაჭრა და ყველაფრის პეტროგრადში არ გაგზავნა. დღემდე არ შეგვიგნია აზრი, რომ სახელმწიფო და საზოგადო პოლიტიკა, კანონმდებლობა და მართველობა ხალხისათვის არის გამოგონილი და არა ხალხია გაჩენილი დაწესებულებათათვის. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენს ხალხს მიეცეს პოლიტიკური უფლება არა მხოლოდ იმიტომ, რომ 40 კაცი აირჩიოს მოსკოვის ან პეტროგრადის პარლამენტში, სადაც 800 უცხოელი იქნება, არამედ ორასი კაცი აირჩიონ, მაგრამ ტფილისში გადასწყვიტონ საკუთარი საქმეები. ჩვენ მოვითხოვთ ხალხისათვის პოლიტიკურ და საადმინისტრაციო უფლების დაახლოვებას და გარეშე ამ მოთხოვნილებისა დემოკრატიული შეხედულება არც არსებობს.

ეხლანდელ ყრილობაზე განსაკუთრებით საჭიროა ასეთი პოლიტიკურ-დემოკრატიულ მიმართულების ხალხის გამოგზავნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ხალხი ჩაიხრჩობა ხატისოვ-ჟორდანიას ცენტრალისტურ ჭაობში, რომელიც ყოველ დესპოტიაზე უმძიმესი იქნება...

კიდევ ერთი სადღესას წაუღო ამბავი

ჭეშმარიტად თავბრუ-დამხვევი ამბებია. დღე გადის და ყოველ დღეს ჩვენთვის ახალ-ახალი ამბები მოაქვს ჩვენი იდეალების აღსრულებისა დღეინდელი დეპეშებიდან ვსცნობთ, რომ პეტროგრადში უკრაინელებს გრანდიოზული მანიფესტაცია გაუმართავთ და თავრიდის სასახლესთან რომ მისულან, მუშათა დეპუტატების საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარეს სოკოლოვს მათთვის აღუთქვამს რომ კომიტეტი იბრძოლებს **ფედერატიული რესპუბლიკის განხორციელებისთვის**. ამგვარად ის, რისთვისაც ჩვენ ათასგვარი ლანძღვა ცილისწამება და გინება გადვიტანეთ,—აღიარებულია ერთ ერთ უძლიერეს ორგანიზაციის მიერ—სწორედ იმ პროლეტარიატის ორგანიზაციის მიერ, რომლის ღალღს ჩვენ წარამარა თავზე გვახვევენ ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები.

არის აქ მეორე ფაქტიც. ჩვეულებრივ მონური ფსიხოლოგიით განქლენთილი ჩვენ გვეუბნებიან და გვირჩევენ დღეს ენა ჩავიკმიდოთ და არავითარი ნაციონალური მოთხოვნილება არ წარვადგინოთ. ზემომოყვანილი ფაქტიდან ვხედავთ, რომ მიუცილებელია ამგვარი კითხვები წამოყენებულ იქმნეს და მიუცილებელია მოვითხოვოთ, რომ რუსეთის ფედერატიაში საქართველო ავტონომიურად ერთეულად იქმნეს გამოცხადებული.

—ა—

ქართული პრესა

ჩვენებური სოც.-დემოკრატების გაზეთი „ერთობა“ („თ. აზრის“ მაგიერი) უსირცხვილოდ სწერს:

„ფედერალისტთა პარტია თავის ჩვეულებრივ საქმიანობას—რევოლიუციის დაუძლურებას შეუდგა.

ჩვენს თვალწინ მოხდება ის, რაც მოხდა ავსტრიაში 1848—9 წლებში. ტახტმა რევოლიუცია ჩეხებისა და საერთოდ სლავიანთა დახმარებით ჩააქრო. სხვადასხვა ერები ერთი მეორეს დაერივნენ და მით რეაქციის გამარჯვება გამოიწვიეს. სწორედ ასეთ პოლიტიკას აწარმოებენ ამხანად ქართველი ნაციონალისტები. ნაცვლად კავკასიის სხვა ერებთან წინასწარი შეთანხმებისა, ისინი დამოუკიდებელი გზით მიდიან, საერთო რევოლიუციონურ ბანაკს ეთიშებიან და კონტრევოლიუციის ამოძრავებას ნიადაგს უმზადებენ. ამით აიხსნება ის განგაში, რომელიც ნაციონალისტებმა კიტა აბაშიძის კომისარობიდან გადაყენების გამო ასტეხეს“.

ამას სწერენ ის ადამიანები, რომელნიც პეტროგრადის დროებითს მთავრობას ბრძოლასა და წინააღმდეგობას ემუქრებიან. არ ერიდებიან იმასაც, რომ ყოვლად სამარცხვინო დაბეზღებები და ჭორები შეთხზან და სრული უთანხმოება შეიტანონ ადგილობრივ ძალთა განწყობილებაში.

უბადრუკები გათიშვას გვისაყვედურებენ იმიტომ, რომ ჩვენ საქართველოს ავტონომიას მოვითხოვთ. მაგრამ განა ასეთსავე ავტონომიებს არ მოითხოვენ თავისთვის დღეს უკრაინელი, ლიტველი და სხვა სოციალისტები? სოციალისტი არაა პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი, რომელიც ამ ორი დღის წინად სიხარულით მიეგება უკრაინის დემოკრატიის მოთხოვნილებას?

ყველამ კარგად უწყის, რომ მთელის ჩვენის არსებით მხარს უჭერთ რუსეთის რევოლიუციას, ჩვენი ამხანაგები მხნედ და თავდადებულად მუშაობენ აღმასრულებელ კომიტეტებში რევოლიუციონური მოძრაობის განსამტკიცებლად. ხოლო ამავე დროს არ ვივიწყებთ, რომ ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის, მისი განთავისუფლებისთვის აუცილებლად საჭიროა საქართველოს ავტონომია და ამას გაბედულად ალვიარებთ და მოვითხოვთ. ამაში გათიშვას მხოლოდ ის დაინახავს, ვისაც გონება ძალზე მოჩლუნგებული აქვს!..

ბ-ნნო დასელებო, დღეს ამ დიადი რევოლიუციის დროს მაინც იყავით მოქალაქენი და გამოიჩინეთ მოქალაქობრივობა: ნუ ცდილობთ თქვენი დიქტატურა ააგოთ დაბეზღებასა და ცილისწამებაზე!

პროტესტები

პეტროგრადი. იუსტიციის მინისტრს კერენსკის. ამხანაგ კიტა აბაშიძის დანიშვნას ღრმა თანაგრძნობით შევხვდით ჩვენ ტრამვაის მუშები სოციალისტ-ფედერალისტები, რადგანაც აბაშიძე, როგორც დემოკრატიის ინტერესების დამცველი და აგრეთვე ეროვნული მისწრაფებათა მატარებელი ღირსეულად და პატიოსნად დაიცავდა ამ ინტერესებს. სოც.-დემოკრატიული ანტი ეროვნული ელემენტების ზედგავლენით და დამუქრებით მისი გადაყენება არ შეშვენის ახალს რევოლიუციონურს მთავრობას ჩვენ აუცილებელ საჭიროებად ვსთვლით აბაშიძის კომისარიატში დატოვებას თუნდაც ჩხენკელთან ერთად.

—

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავად ლვოვს.

პეტროგრადი. I ასლი: სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს როდძიანკოს. II ასლი: მინისტრებს კერენსკის, გუჩკოვს, მილიუკოვს, შინგარევს, ტერეშჩენკოს, ლვოვს, კონოვალოვს, მანუილოვს, ნეკრასოვს და ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატებს.

მრავალ რიცხოვანი კრება ქართველ ოფიცერთა და ჯარის-კაცთა თავის ღრმა მწუხარებას აცხადებს კიტა აბაშიძის კავკასიის კომისარიატის წრიდან გამორიცხვის გამო. კიტა აბაშიძე საუკეთესო გამომხატველი იყო ქართულ ეროვნულ ინტერესებისა, მის მისწრაფებათა, და იმავე დროს დემოკრატიის ინტერესების დამცველი და მედგარი მებრძოლი თავისუფლებისათვის.

კრებას საჭიროდ მიაჩნია კიტა აბაშიძე დატოვებულ იქმნეს კომისარიატში დეპუტატ ჩხენკელთან ერთად.

ქართველ ჯარისკაცთა და ოფიცერთა აღმასრულებელი კომიტეტი.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თ. ლვოვს, ასლი სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს როძიანკოს, იუსტიციის მინისტრს კერენსკის და დეპუტატ ჩხეიძეს. სრულიად რუსეთის საერობო კავშირის ამიერ-კავკასიის კომიტეტის სხვა და სხვა განყოფილებაში მომუშავე ქართველთა ერთი ჯგუფის შეერთებულმა საგანგებო ყრილობამ, განიხილა რა ფაქტი სახელმწიფო სათათბიროს წევრის ჩხენკელის კავკასიის კომისარიატის წევრად დანიშვნისა, ხოლო იმავე დროს ივანე (კიტა) აბაშიძის კომისარიატიდან გამორიცხვისა, გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

ყრილობის წევრნი, ცნობენ რა დეპუტატ ჩხენკელის სრულიად ღირსეულ პიროვნებად კომისსარიატის წევრობისათვის და სთვლიან რა კომისარიატში მის ჩარიცხვას, როგორც ერთ-ერთ პარტიის წარმომადგენელისას, სამართლიანად და სასარგებლოდ,—კიდევ უფრო საჭიროდ რაცხვენ კომისარიატში ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძის მონაწილეობას, რომლის გაუგებარმა და სრულიად დაუსაბუთებელმა გადაყენებამ როგორც ჩვენ შორის, აგრეთვე ქართველი საზოგადოების დიდს ნაწილში ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც შეიძლება მოჰყვეს დღევანდელ მომენტი ფრიად არა სასურველი საზოგადოებრივ ძალთა გათიშვა და დაქსაქსვა. ითვალისწინებენ რა ყველა ამას, ყრილობის დამსწრენი, როგორც თქვენი უმცროსი თანამშრომელნი კავკასიის ბრძოლის პირის ზურგის გამაგრებაში, კავკასიის და კერძოდ საქართველოს ცხოვრების პირობებთან კარგად გაცნობილნი, თავის წმინდა მოვალეობად სთვლიან თქვენსა და განახლებულ რუსეთის წინაშე მიგვითითონ იმაზე რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იმ საბედისწერო შეცდომის დაუყოვნებლივ გასწორება, რომელიც კიტა აბაშიძის კომისსარიატიდან გამორაცხვაში გამოიხატა.

—

გაზეთი „საქართველო“ პროტესტს აცხადებს კ. აბაშიძის გადაყენების შესახებ და სხვათა შორის ამბობს: იმ [illegible] ეროვნულ დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ, ახალმა მთავრობამ ყოველ მიზეზს [illegible] უნდა დანიშნოს ეროვნული საკითხის ნამდვილი მეგობრები, მისი გულწრფელი და თავგამოდებული დამცველები. მან საგანგებოდ უნდა გამოსძებნოს ამ მხრივ ცნობილი პირები ან უპარტიო საზოგადო მოღვაწენი ან კიდევ ისეთი პარტიის ბელადები, რომელთა პროგრამის ქვაკუთხედს ერის უფლების დაცვა აღდგენა შეადგენს. [illegible] ბამ უნდა [illegible] უკმაყოფილება [illegible] არა [illegible] მის [illegible] ვინც [illegible] ქართველ [illegible] ნება. [illegible] იმდენ [illegible] კიტა აბაშიძე [illegible] დანიშნა [illegible] კომისარ [illegible] გასასწორებლად [illegible] აბაშიძე რომ [illegible] დით, [illegible] მთავრობა [illegible] შვიდ [illegible] აუცილებლად [illegible] ამას ყველა უნდა ჰგრძნობდეს.

მილოცვები

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თ. ლვოვს. პირი სათათბიროს თავმჯდომარეს როძიანკოს, მინისტრს კერენსკის და მუშების და სალდათების დეპუტატთა საბჭოს.

ქართველთა აფიცრების, სალდათების და სამხედრო მოხელეების კრება მხურვალედ მიესალმება რუსეთის ხალხის განთავისუფლებას და უსურვებს რევოლიუციას სრულს გამარჯვებას.

დარწმუნებული ვართ, რომ ახალი მთავრობა დაუყოვნებლივ განახორციელებს სრულს პოლიტიკურს თავისუფლებას და შეუდგება დამფუძნებელი კრების მოწვევას საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი კენჭის ყრით. დარწმუნებული ვართ, რომ სახელმწიფოს განახლებისა და აღდგენის დროს დაკმაყოფილებული იქნება ეროვნულ-პოლიტიკური მოთხოვნილებანი რუსეთის ერებისა და განხორციელდება საქართველოს დემოკრატიული ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია, რომელიც მისცემს ქართველ ხალხს საშუალებას დაუბრკოლებელ კულტურულ-ეკონომიურ განვითარებისათვის.

ქართველ აფიცერთა და ჯარისკაცთა
აღმასრულებელი კომიტეტი.

—

პეტროგრადს სამხედრო მინისტრს გუჩკოვს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატთა საბჭოს. ქართველ ოფიცერთა, ჯარის-კაცთა, სამხედრო მოხელეთა და ექიმთა მრავალ-რიცხოვანი კრება სალამს უძღვნის თქვენს პიროვნებაში რუსეთის რევოლუციონურ არმიას. კრებამ ცხადად და გარკვეულად აღიარა სოლიდარობა რევოლიუციონურ არმიასთან და დასახა ლოზუნგად ომის განგრძობა სრულ გამარჯვებამდის. კრება გამოსთქვამს რწმენას რომ თავისუფალი რუსეთი დაუყონებლივ შეასწორებს წარსულ აბსოლიუტიზმის შეცდომას და მიანიჭებს საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლებას ავტონომიურ საფუძველზე, რომელიც ასე საჭიროა მისი კულტურულ განვითარებისა და უფრო მჭიდრო შეერთებისათვის თავისუფალ რუსეთთან.

ქართველ ოფიცერთა და სალდათთა აღმასრულებელი კომიტეტი.

—

ყიზლიარის ქართველები მხურვალე სალამს უგზავნიან ძვირფას სამშობლოს, ულოცავენ თავისუფალ ცხოვრების დაწყებას და უსურვებენ, რომ ისტორიული მისწრაფება ქართველი ხალხის მალე განხორციელდეს.

—

ქართველ ს.-რ. პარტიის დეპეში.

იუსტიციის მინისტრს **ამხანაგ კერენსკის:** ქართველი სოციალისტ-რევოლიუციონერები გიძღვნიან ამხანაგურ სალამს და გულითადათ ულოცვენ პარტიას რუსეთის რევოლიუციის დიად გამარჯვებას. იმედი გვაქვს, რომ ს.-რ. პარტია ყველა პროგრესიულ-საზოგადოებრივ ჯგუფთან ერთად მიიღებს ყოველგვარ ზომას რევოლუციის დასაგვირგვინებლად ღრმად გვწამს. რომ ჩვენი პარტია, რომელმაც საუკეთესო თვისი ძალები თავისუფლების საქმეს მსხვერპლათ შესწირა, გამათავისუფლებელი იქნება რუსეთში მოსახლე ყველა ერისა. მათ რიცხვში ქართველებისა. კერძოთ, ეჭვი არა გვაქვს, თქვენ ყოველი ღონით მხარს დაუჭერთ ქართველი ხალხის ერთსულოვან მისწრაფებას პოლიტიკური ავტონომიისადმი.

ს.-რ. ქუთაისის ჯგუფი.

—

12 მარტს კაჭრეთის კუთხის შუაგულ ადგილას, სახელდობრ „კვერცხა“-ზე მოხდა შეერთებული მიტინგი სოფფ. ჯიმითის, კაჭრეთის, ნანიანის, აგრამ-დარჩიეთის, ქოდალოს, არაშენდის, ზიარის, ფხოვლის და შიბლიანის მცხოვრებთა, რომელზედაც დაესწრო 5,000 სულზე მეტი. თვითველი სოფლის მცხოვრებნი მოვიდნენ აღნიშნულ ადგილას წითელი ბაირაღებით და ერთმანეთს ულოცავდნენ თავისუფლებას. კრებაზე ილაპარაკა 10 ორატორმა; ყველა გახარებული იყო თავისუფლებით. კრებამ დაადგინა შემდეგი: დეპეშა გაუგზავნოს მშრომელ ხალხის წარმომადგენლებს კერენსკის და ჩხეიძეს: სალამს ვუძღვნით ახალ დროებით მთავრობას, ვიმედოვნებთ, რომ ახალი მთავრობა გაჰკურნავს ხალხის წყლულს და კერძოდ საქართველოს მიანიჭებს ავტონომიას დემოკრატიულ საფუძველზე.

გიორგი ბოჭორიძე.

რევოლიუციის დეპეშები

დიდი მთავრების განცხადება.

პეტროგრადი, 13 მარტი. მინისტრპრეზიდენტმა ლვოვმა შემდეგი დეპეშა მიიღო დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზისძისაგან: მივიღე ფიცი, რომ ერთგული ვიქნები სამშობლოსა და ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა. ჩემს მოვალეობას შევასრულებ, როგორც მიბრძანებს ჩემი სინდისი და ნაკისრი ვალდებულობა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მიიღო აგრეთვე მორჩილებისა და ერთგულების განცხადება ალექსანდრე მიხეილისძის და მისი მეუღლის, სერგეი მიხეილისძის, ალექსანდრე ოლდენბურგელისა, ბორის ვლადიმირისძის, გიორგი მიხეილისძის, ნიკოლოზ მიხეილისძის და დიდის მთავრის კონსტანტინეს შვილებისაგან.

ახალი მთავრობის ფიცი.

პეტროგრადი. დროებითი მთავრობა ახალს სახელმწიფოებრივ წესწყობილებას შეჰფიცავს 15 მარტს, დილის 10 საათზე სენატში.

დამფუძნებელი კრება.

პეტროგრადი. დროებითი მთავრობა შეუდგა იმ საკითხის განხილვას, რომ აირჩიოს საგანგებო კომისია კანონპროექტის შესამუშავებლად დამფუძნებელი კრებისთვის.

მიტრ. პიტირიმი.

პეტროგრადი. სინოდმა მიტროპოლიტი დაითხოვა და საცხოვრებლად დაუნიშნა უდაბნო ზემტაუს მთაზე ან მონასტერი პიატიგორსკში.

განათლების სამინისტროში.

პეტროგრადი. განათლების მინისტრმა მისწერა ოლქის მზრუნველებს, რომ დაუყონებლივ მიიღონ უნივერსიტეტებსა და სასწავლებლებში ის სტუდენტები და მოწაფეები, რომლებიც დასჯილნი იყვნენ პოლიტიკურ ან სარწმუნოებრივ საქმეებისთვის.

დახმარების გადიდება.

პეტროგრადი, 14 მარტი. გლეხმა დეპუტატებმა წოხსენება წარუდგინეს სამხედრო მინისტრს გუჩკოვს, რომ ომში გაწვეულთა ოჯახებს მეტი დახმარება აღმოუჩინონ.

გუნ. ივანოვის დატუსაღება.

კიევი, 14 მარტი. აღმასრულებელმა კომიტეტმა სამხედრო კომისარის ობრუჩევის წინადადების თანახმად დაადგინა დაატუსაღოს სახლში გენერალი ივანოვი.

სოც.-რევოლ. გაზეთი.

სარატოვი, 12 მარტი. გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთისა „ზემლია ი ვოლია“, რომელიც ეკუთვნის სოციალისტ-რევოლიუციონერებს.

პეტროგრადის ჯარი.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ იმ დიადი მონაწილეობის აღსანიშნავად, რომელიც მიიღო რევოლიუციაში პეტროგრადის გარნიზონმა, დაადგინა შექმნას ცალკე არმია რამდენიმე კორპუსისაგან, რომელიც დარჩება პეტროგრადში.

ნიკოლოზ ნიკოლოზისძე.

პეტროგრადი. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე ამ დღეებში ლივადიაში წავა. მის განკარგულებაში იქნებიან სათათბიროს წევრები ჩერნოსვიტოვი და ჩისტოვი.

ავსტრიელთა და გერმანელთა მამულები.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა დამფუძნებელ კრებამდე შეაჩეროს ავსტრიიდან და გერმანიიდან გადმოსახლებულთა მიწის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ გამოცემული განკარგულებანი 1915 წ. 2 თებერვლის და 13 დეკემბრის, 1916 წ. 10 და 15 ივლისის, 13 აგვისტოს, 8 დეკემბრის, 20 და 25 ოქტომბრის და 1917 წ. 28 იანვრის, 6 და 8 თებერვლის.

პოლიციის დეპარტამენტის ხარჯების შემცირება.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა შეამციროს პოლიციის დეპარტამენტის ხარჯები ერთ მეოთხედამდის.

სახელმწიფო სათათბიროს მოწოდება.

პეტროგრადი. 13 მარტი. (ოფიციალური). მოქალაქენო! მემამულენო, გლეხნო, პოლონელო მოიჯარადრენო, და სხვა მიწის მომუშავენო! ნუ მივცემთ გერმანელებს საშუალებას, რათა ჩვენ დაგვამარცხონ, ომი ბოლომდის უნდა განვაგრძოთ. ომისათვის კი ადამიანები, იარაღი და პურია საჭირო ადამიანები პატიოსნურად, გმირულად ღვრიან სისხლს ბრძოლის ველზე. მუშები ტყვია წამალს ამზადებენ ქარხნებში მადლობა ეკუთვნის მათ.

სახელმწიფო სათათბირო გთხოვთ თქვენც შეასრულოთ თქვენი მოვალეობა იხმარეთ ყოველგვარი ღონისძიება რათა მინდვრები დაუთესავი არ დაგვრჩეს. ყველამ სთესეთ! თქვენ მინდვრებზე მოსული პური სახელმწიფოს სჭირია. სახელმწკფოსათვისაა საჭირო ყველაფერი იმის გარდა, რომელიც თქვენ თქვენი ოჯახებისათვის და თესლისათვის დაგჭირდებათ. მთელ მონარჩენ პურს ახალი მთავრობა შეისყიდის თქვენგან და **ღირსეულ** შესაფერ საფასურსაც მოგცემთ. თუ თქვენ ძალა არ შეგწევთ ყველა თქვენი მიწის ნაჭერი თვითვე დაიმუშავოთ, შეატყობიეთ ეს უახლოვეს კომიტეტს და დახმარებას მიიღებთ, მაშ სთესეთ, სთესეთ პური!

ხელი მოაწერა: სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე **როძიანკო.**

ხარკოვი. 13 მარტი. გაიარეს კავკასიის კომისარებმა ჯაფაროვმა, პაპაჯანოვმა და ხარლამოვმა, რომელთაც შეხვდნენ სამხედრო კომისარი პოდდუბნი და მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს წევრები.

რევოლიუციის ამბები

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ნიკოლოზ მეორეს შუამდგომლობა აღუძრავს, რათა მას დროებითი მთავრობის რომელიმე წევრთან მოლაპარაკების ნება დართონ.

ნიკოლოზ მეორის ბედი.

ნიკოლოზ მეორის ბედის შესახებ ორგვარი პროექტია წარდგენილი. მუშათა დეპუტატების საბჭოს აზრით ნიკოლოზ მეორე რუსეთში უნდა დარჩეს, რადგან ძლიერ ბევრი სამხედრო საიდუმლო იცის. დროებითი მთავრობის აზრით ნიკოლოზ მეორე უნდა განდევნილ იქმნას რუსეთის ტერიტორიიდან. მაგრამ იმ პირობით, რომ საზღვარ-გარეთაც თავისუფლება შეზღუდული ექნეს. ეს შეიძლება მხოლოდ ინგლისში. თუ ნახელმწიფარს ინგლისში გაამგზავრებენ, დროებითი მთავრობა და მუშათა დეპუტატების საბჭო გარანტიას მიიღებენ, რომ ნახელმწიფარს ნებას არ მისცემენ ინგლისელები გერმანიასთან რაიმე კავშირი დაიკავოს. ნიკოლოზ მეორის საზღვარგარეთ გამგზავრების მოწინააღმდეგენი დაბეჯითებით ამბობენ: ნადედოფლარს მთელი ომიანობის წლების განმავლობაში გერმანიასთან კავშირი არ შეუწყვეტიაო. ამბობენ რასპუტინმა მოუყვანა დედოფალს ერთხელ ერთი ტყვე გერმანელ ოფიცრის ცოლი და დედოფალს წარუდგინა. დედოფალმა აღუთქვა ოფიცრის ცოლს რომ იგი ყოველგვარ ზომებს მიიღებს ტყვე გერმანელ ოფიცრის სამშობლოში დასაბრუნებლად. ორი კვირის შემდეგ ის ოფიცერი პეტროგრადის ქუჩებზე უნახავთ.

ნიკოლოზ მეორეს პეტროგრადელ გაზეთების კითხვის ნება დართო ახალმა მთავრობამ.

ორდენების გაუქმება.

გადაწყვეტილია ორდენების კაპიტულის გაუქმება. ყოველ შემთხვევაში დიდი ნაწილი ჩინ-ორდენებისა გაუქმებულ იქნება.

რომანოვთა განზრახვა.

ხმებია: რომანოვებს ლიუდოვიკმე-XVII უნაყოფო ცდის გამეორება სწადიათ რუსეთის ისტორიაში.

ამის გამო მრავალი ყოფილი მეფის მხლებელია დატუსაღებული.

,,ნიკოლოზი ბარით ხელში‘‘.

„ბირჟევია ვედომოსტებს“ ატყობინებენ: ნიკოლოზ მეორემ ითხოვა მორიგ ოფიცრისთვის მოეხსენებიათ რომ მას სასეირნოთ წასვლა სურდა. მოვიდნენ გუშაგთა უფროსი და მორიგი ოფიცერი და პარკში გაიყვანეს სასეირნოდ.

30 წამის განმავლობაში ნიკოლოზ მეორე აჩქარებული ნაბიჯით დასეირნობდა, შემდეგ გაჩერდა, აიღო ბაღის ბილიკზე დაგდებული ბარი და მთელი საათი თოვლს იღებდა პარკის ბილიკიდან ამ ხნის განმავლობაში დარაჯები თვალს არ აშორებდნენ ბარით მომუშავე ნახელმწიფარს.

როცა ნიკოლოზი სასახლეში დაბრუნდა, კარები გარედან ჩაკეტეს დარაჯებმა.

ნიკოლოზი ბაღში რომ სეირნობდა, სასახლის ფანჯრიდან მას ალექსანდრა თეოდორეს ასული და ვირუბოვის ქალი თვალს ადევნებდნენ.

აქტები პიროვნების თავისუფლებისა ბინია და ბეჭვდის შესახებ.

მინისტრთა საბჭომ თავად ლვოვის თავმჯდომარეობით მიიღო სამხედრო მინისტრის გუჩკოვის წინადადება: უნდა გამოცემული იქმნას განსაკუთრებული აქტი პიროვნების ხელ შეუხლებლობის აღსადგენად—იგივე აქტი რუსის მოქალაქეთა ბინების ხელ შეუხლებლობასაც დაიცავს გარდა ამისა გუჩკოვმა სურვილი გამოთქვა ბეჭვდის თავისუფლებაზე.

პასპორტების სისტემის გამოცვლა.

ყველა აქამდის მიღებული პასპორტები ძალაში დარჩება. ვინც სადმე მუდამ სცხოვრობს იქ პასპორტი არაა საჭირო. ვისაც რაიმე მოწმობის მიღება სჭირდება, კომისარიატში უნდა მიმართოს. კომისარიატს შეუძლია ყოველგვარ დოკუმენტს დაეყრდნოს პასპორტის მიცემის დროს.

ჟანდარმების საპოგრომო აგიტაცია.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ცნობები მიიღო: გადაცმული ჟანდარმები მგზავრობენ რკინის გზით და სხვა და სხვა შინაარსის საპოგრომო ლიტერატურას ავრცელებენ. ყოველ გვარი ზომებია უკვე მიღებული დამნაშავეთა შესაპყრობად.

პოლიტიკური ტუსალები სისხლის სამართალში მიცემულთა განსათავისუფლებლებლად შუამდგომლობენ.

გუშინ ქალაქის უფროსის თანაშემწე სვატიკოვთან შლისენბურგელი ლიხტენშტეინი გამოცხადდა (ლიხტენშტეინი 11 წელი იჯდა შლისენბურგში, სოციალისტ რევოლიუციონერების საქმის გამო) ლიხტენშტეინმა უამბო სვატიკოვს, რომ იგი რამოდენიმე წამის წინედ იუსტიციის მინისტრის ამხანაგ ზარუდნისთან ყოფილა და შუამდგომლობა აღუძრავს სისხლის სამართალში მიცემულ ტუსალთა განსათავისუფლებლად:

იუსტიციის მინისტრის ამხანაგს თანახმობა განუცხადებია და შეპირებია დახმარებას, მით უმეტეს ამბობდა ლიხტენშტეინი — პოლიტიკური ტუსაღები უარს ამბობენ ამინისტიის გამოყენებაზე, თუ სისხლის სამართალში მიცემულით ამინისტია არ შეეხო. თავისუფლება ყველასთვის უნდა იყოსო—ამბობენ თურმე პოლიტიკური ტუსაღები.

ფილანდიაში.

ჰელსინგფორსში შესდგა ფილანდიის ახალი მთავრობა: ექვსი სოციალისტია და ექვსი ბურჟუაზიულ პარტიების წარმომადგენელი თავმჯდომარეა სოციალისტი ტოკოი, რომელიც წინად სეიმის ტალმანად იყო.

მემარჯვენები.

სახელმწიფო კანტროლიორს გოდნევს აღმოუჩენია, რომ ძველი მთავრობის საიდუმლო ფონდიდან ფული მიუღიათ შემდეგს მემარჯვენე დეპუტატებს: კრუპენსკის—20 ათასი, ზამისლოვსკის 25, მაკაროვს 8, დერიუგონს 10, ექიმს დუბროვინს 20 ათასი.

ლეიხტენბერგელი ჰერცოგი თეელისის შესახებ.

ლეიხტენბარგელ ჰერცოგს, ყოფილ იმპერატორის ფლიგელადიუტანტს უთქვამს. რუზსკი პსკოვში ეუბნებოდა მეფეს, რუსეთის მთავრობის პოლიტიკა უკანასკნელ დროს საშინელებაა და ხალხი არავის აპატიებს ამას რუზკიმ ზიზღით მოიხსენია შჩეგლოვიტოვი, სუხომლინოვი და პროტოპოპოვი. ჰერცოგის სიტყვით, მეფე ცოტას არ მუშაობდა, შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ

ქ. სიღნაღში 13 მარტს გარდაიცვალა

დეკანოზი მ. სვიმონ
ბებიევი

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე ნინო იოილის ასული, შვილები ვასილი, კონსტანტინე, თამარა ჯანდიერის მეუღლე და ელენე ვაჩნაძის მეუღლე შვილებით და რძალი ანნა ილარიონის ასული. დაკრძალვა სიღნაღშინე 18 მარტს,

---

გულდამწვარი **გოგუცა და ამბაკო ცხვედიანები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას მათი დაუვიწყარი დეიდის

მაკიკა ლევანის ასულის ჩხეიძისას.

მიცვალებულს გაასვენებენ ტფილისის სადგურზედ დღეს, 16 მარტს, 1 საათზედ ანდრეევის ქუჩიდან № 23. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში 19 მარტს. 330

გულდამწვარი ბიძაშვილები შარია ღულაძისა, დარია ახვლედიანისა, მინადორა ბერიძისა, სონა ხუნდაძისა ქმრებით: დავით, ბესარიონ და ანტონ გიორგის ძენი ქაჯაიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარ ბიძაშვილის

მაკიკა ლევანის ასულის ჩხეიძისას

მიცვალებულს გაასვენებენ ტფილისის სადგურზე დღეს 16 მარტს პირველ საათზე ანდრეევის ქუჩა, 23 ნომერი. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისს კვირას 19 მარტს. 330

ღრმად დამწუხრებული პლატონი და ივანე კლიმიაშვილები, ზინაიდა მაჩხანოვისა, ელენე მირზაშვილისა, ევა ბებურიშვილი და სოფიო ფანიაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 12 მარტს გარდაიცვალა მათი საყვარელი ძმისწული, ვარშავის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი

ალექსანდრე ლუკას ძე
დეკანოზიშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათზე, ეფრეტოვის ტუპიკი № 2 გამოსვენება 16 მარტს 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 325

ახალი კლუბი
პარასკევს, 17 მარტს, კლუბის დარბაზში მომღერალი
ვარდენ ლორთქიფანიძე
გამართავს ფრიად საყურადღებო
კონცერტს 2 განყ.

მონაწილეობას მიიღებენ: მომღერალი-ქალი ქ-ნი **მარიამ შავრეშაშვილისა** (სოპრანო), პროფ. ტფილის. მუსიკ. სასწავლებლისა ბ-ნი **ე. გ. ბროჯი** (ბარიტონი), მომღერალი ბ-ნი **ნ. გ. ხოლზოვი,** პიანოზე დამკვრელი **ჰენრიხ სენქევიჩი** და როიალზე დამკვრელი კნ. **მ. გ. ანდრონიკაშვილისა.**
დაწვრილებით **პროგრამებში. დასაწყ. საღ. 8-ნახ. ს.**
ადგილების ფასი 1—3 მან. ბილეთები ამ თავითვე იყიდება კლუბის შვეიცართან. 1681

ღრმათ დამწუხრებულნი ბესარიონ და ალექსანდრე ნარიმანის ძენი ჩხეიძეები, ელისაბედ ჩხეიძისა, კნ. ქეთო, სონა, საშიკო პეპელა ჩხეიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მეუღლე და დანარჩენების საყვარელი რძალი

მაკიკა ლევანის ასული ჩხეიძისა.

მიცვალებულს გაასვენებენ ტფილისის სადგურზე დღეს 16 მარტს პირველ საათზე, ანდრეევის ქუჩა 23 ნომერი. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისს კვირას 19 მარტს! 330

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).
ხუთშაბათს, 16 მარტს, 1917 წელს.
სინემატოგრაფი,
სიმებიანი ორკესტრი საზანდარი.
დასაწყისი საღამოს 9 საათ. სტუმრები საზოგადო წესით.

აღმასრულებ. კომიტეტისაგან
გაზეთები ფრონტზე.

ფრონტიდან ყოველ დღე მოგვდის წერილები და ითხოვენ გაზეთებს. **მივმართავთ მცხოვრებლებს თხოვნით: წაკითხული გაზეთები, რა ენაზედაც უნდა იყოს,**
გადასცენ ახლოზელ საპოლიციო უბანში ან ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო კანტორაში ან ქალაქის გამგეობას, საიდანაც ყოველ დღე გაგზავნიან კავკასიის ფრონტზე.

1088 კომისარები: **ალ. ა. ხატისოვი, ნ. ჟორდანია, დ. პოპოვი**

განცხადება ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტისაგან

ამით ვუცხადებთ ყველას, რომ 14 ამა მარტიდან

ტფილისის გუბერნიის მართველობა გადავიდა ქალაქ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ხელში.

ამიტომ ყოველი ცნობისა და საქმისათვის უნდა მიჰმართოთ გუბერნატორის კანცელარიაში და საგუბერნიო სამმართველოში.

გუბერნატორის და ვიცე-გუბერნატორის მოვალეობა გადავიდა კომისარიატის — **ჟორდანიას, ხატისოვისა** და **პოპოვის** ხელში. 1087



ახალი დიდი ცირკი ახალი დიდი
ძმ. ეფიმოვების
მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. კაპიტალური **საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00**
დღეს 16 მარტს, გაიმართება
დიდი სასპორ.-საგლადიატორო წარ.
მონაწილეობას იღებენ ბელგიელების დასი 5 კლიკეტი, ჟონგლიორი ბოლმანსკაია, აღმოსავლეთის მსახიობი ჩულ-კუ და სხ. დღეს 14 დღე მსოფლიო ჩემპიონატისა. ჭიდაობს ხუთი წყვილი: 1. ბოგატირევი—სმირნოვი, 2. კერელი—განიბალი, 3. ზაგლობა—ემელიანოვი, 4. შავი ნიღაბი—კუდრიავი, 5. სტერს—კმიტესი. ჭიდაობა დაიწყება 10-ნახევარ საათზე. არბიტრი ელიზაროვი.
ანონსი: ამ დღეებში გასტროლი ინგლისელი მსახიობის როლანდის. მალე ბენეფისი დირექტორის ეფიმოვისა. მოდიან ახალი გასტროლიორები.

იმის შესახებ, თუ რამდენად ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა. გაზეთებს ნიკოლოზი არ ჰკითხულობდა, არც „ნოვოე ვრემიას“, ყველანი სტყუიან, ამბობდა. როცა სამეფო მატარებელი მოუახლოვდა ცარსკოე სელოს, ჰერცოგმა ჰკითხა მეფეს, ხომ არაფერი გინდათო ნიკოლოზმა უპასუხა—მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს, დავემორჩილო დროებითს მთავრობასო.

ჯარი.

პოლივანოვის კომისია არკვევს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ჯარის საქმეები ასეთი გეგმაა: ცენტრალური მართველობა ნიშნავს მთავარსარდლებს, უკანასკნელები ირჩევენ შტაბების უფროსებს და თავის ფრონტის ჯარების უფროსებს, ესენი კიდევ ირჩევენ თავის შტაბის უფროსებს და კორპუსების უფროსებს.

ფინელი სტუდენტები.

ბალტიის ფლოტის უფროსმა გამოუცხადა ჰელსინგფორსში სტუდენტებს, რომ გერმანიიდან წამოვიდა ფინლანდიაში 3 ათასი სტუდენტი. მაგრამ ეხლა გარემოება შეიცვალა და იმედია სტუდენტები დაბრუნდებიან არა რუსეთის მტრებად, არამედ მეგობრებად. სტუდენტების წარმომადგენელმა უპასუხა: ფინლანდელები წავიდნენ გერმანიაში მამულიშვილური განზრახვით და გერმანია მიაჩნდათ უკიდურეს საშუალებად სამშობლოს განთავისუფლებისთვის: მაგრამ ეხლა როცა დამხობილია რუსეთის და ფინლანდიის საერთო მტერი, ფინლანდელები რუსის ხალხის მეგობრები იქნებიან,

სისხლის სამართალში მიცემული ტუსაღები.

ბაქოს ციხეში აჯანყება დაიწყო. აღმასრულებელ კომიტეტის კომისარები ციხეში მოვიდნენ და ტუსაღები დააწყნარეს. გამოირკვა: ძველ მთავრობას უდანაშაულოდ ჩაუმწყვდევია ციხეში რამოდენიმე ასეული სრულიად უდანაშაულო მოქალაქეთა.

ოდესსა. 8 მარტს შუადღისას, ნაცნობ ნათესავთაგან წაქეზებული სისხლის სამართალში მიცემული ტუსაღებმა კარები დაამტვრიეს. ამ ნაირად კატორგელებმა კარების კლიტეები დაამსხვრიეს, გაარღვიეს ეზოში მდგარ შეიარაღებულ დარაჯების რაზმს, რამოდენიმე გაიქცა მათ დაადევნეს სტუდენტების მილიცია და ჯარი. 100 ამდის კატორღელები შეიპყრეს.

ლოიდ ჯორჯის ფორმულა.

ინგლისის პრემიერ მინისტრს, ლოიდ ჯორჯს თემთა პალატისათვის ამგვარი ფორმულა წარუდგენია: ინგლისის თემთა პალატა ძმურ სალამს უთვლის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს. და გულწრფელად ულოცავს რუსის ერს განახლების გზაზე დადგომას—მასთან თემთა პალატა ღრმადაა დარწმუნებული რომ ეს ახალი გზა რუსეთს ძალას გაუორკეცებს გერმანიის მილიტარიზმის ბჭეთა დასანგრევად, პრემიერ მინისტრის ფორმულას ასკვისიც უჭერს მხარს.

სიკვდილით დასჯის მოსპობა.

იუსტიციის მინისტრის, ა. კერენსკის განკარგულებით სამინისტროს დეპარტამენტმა განიხილა სიკვდილით დასჯის გაუქმების პროექტი. დეპარტამენტმა პროექტის ორი ვარიანტი წარუდგინა მინისტრსა 1) ვარიანტით სიკვდილით დასჯა სამუდამოდ უნდა მოისპოს. 2) იმ შემთხვევაში როცა დამნაშავეს სიკვდილით დასჯა გადაუწყდება, იგი ვადიან, ან უვადო კატორღათ შეეცვლება. 3) ხსენებული წესრიგი ახლავე უნდა იქმნას მიღებული.

მეორე ვარიანტს. ამგვარი რედაქცია აქვს:

დროებითმა მთავრობამ დადგინა: სიკვდილით დასჯა სამუდამოდ მოსპოს. 2) ყოველ გვარ შემთხვევაში) როცა მოქალაქობრივი თუ სამხედრო სამართალით, თუ სისხლის სამართლის ძალით დამნაშავეს სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტენ, იგი ვადიან, ან უვადო კატორღად უნდა შეეცვალოს.

დედოფლის დატუსაღების დეტალები.

გაზეთ „რუსსკაია ვოლიას“ თანამშრომელს შემდეგი უამბო ღენერალ კორნილოვმა: დილით მე ბრძანება მივიღე სამხედრო მინისტრი გუჩკოვისაგან რათა ყოფილი დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული დამეტუსაღებია.

„ჩემსას ყველანი ავად არიან“! მითხრა ნადედოფლარმა. სთქვა ღენ. კორნილოვმა.

— დღეს უკანასკნელი ქალიშვილიც ავად გახდა. განაგრძო დედოფალმა. ალექსი ამ დაბოლოს ცოტა უკეთ იყო, ახლა ისევ საფრთხეშია მისი ჯანმთელობა.

ღვთისგულისათვის დარჩით მარტო ჩემთან .სთქვა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა.

მე უბრძანე მხლებელი გარედ გასულიყვნენ.

ნადედოფლარმა ქვითინი დაიწყო. მას ისტერიკა მოუვიდა. როცა გონს მოვიდა, ნადედოფლარმა მითხრა: მე თქვენ განკარგულებას ვექვემდებარები მიყავით რაც გნებავთ.

კორნილოვმა წაუკითხა სამხედრო მინისტრის ბრძანება, თვითონ კი სასახლის დარაჯებს წინადადება მისცა რათა ნადედოფლარს საშვალება არ მისცენ სასახლეში არსებულ ტელეფონებით ისარგებლოს.

ომის დღიური

გუშინ გავრცელებული ხმა, ვითომ რიგის და ბარანოვიჩის მიმართულებით გერმანელების ბრძოლის ხაზი გაარღვიესო, არ გამართლდა ჯერჯერობით მაინც. არ ვიცით, ვის დასჭირდა ასეთი ხმების გავრცელება.

უნდა კარგად შევიგნოთ, რომ დღევანდელ პირობებში, ბრძოლის პირიდან მოსული ამბები, მეტადრე აღნიშნულ ხასიათისა დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა ამ შემთხვევაში იმედის გაცრუებას მეტად დიდი სიმწარე სდევს თან.

ჯერ-ჯერობით არ გამართლებულა აგრეთვე შიში იმის თაობაზე, რომ გერმანელები ფართო შეტევას ამზადებენ პეტროგრადისაკენაო. თავის დროზე ჩვენი აზრი გამოვსთქვით ამ შეტევის შესახებ და განვმარტეთ, რომ მას წმინდა პოლიტიკური მიზანი უნდა ჰქონდეს დასახული. ახალი მთავრობის გაფრთხილება რააკვირველია გამოწვეული იყო ბრძოლის პირიდან მოსულ ცნობებით. მაგრამ დღევანდელ პირობებში ასეთ ცნობებს ადამიანი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეხვდეს. საქმე ის არის, რომ ასეთი ცნობები იკრიბება უმთავრესად აგრეთ წოდებულ „სამხედრო შპიონაჟის“ მიერ. ამ დაწესებულებაში იქვს გარეშეა ჯერ კიდევ ბევრი დაშთენოდა ძველი რეჟიმის გულწრფელი მომხრე, მით უმეტეს, ირკვევა თანდათან, რომ ყოფილ დედოფალს თავის მხრით მთელი ორგანიზაცია ჰქონია მოწყობილი სამხედრო შპიონაჟისა. ადვილად შესაძლებელია, რომ ამგვარი აგენტები ყალბ და ცრუ ცნობებს აწვდიან ვისაც ჯერ არს. გერმანიისათვის მეტად ხელსაყრელია ახალი მთავრობის და რევოლუციონურ რუსის ჯარის მთელი ყურადღება პეტროგრადის მიმართულებისაკენ მიაქციოს, რადგანაც ამ მიმართულებას დღეს განუსაზღვრელი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სწორედ რუსეთის ახალწყობილების დამკვიდრება-გამაგრებისათვის, ხოლო სტრატეგიული თვალსაზრისით უპირატესობა ეკუთვნის კიევ-ადესის მიმართულებას. მაშასადამე თუ გერმანია მიზანს მიაღწევს და რიგის მიმართულებით ფართო დემონსტრაციით რუსის ჯარს და მთავრობას თვალს აუხვევს, მას გაუადვილდება მოქმედება მთავარ სტრატეგიულ მიმართულებით კიევ-ადესის გზებით.

ი. გე—ჯა—ლი.

ომის დეპეშები

მთავარშტაბის ცნობები.

პეტროგრადი. 14 მარტი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. პოსტავის რაიონში მოპირდაპირის არტილერია ჩვეულებრივზე უფრო ენერგიულად მოქმედობდა. ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცარევო-ლაბუზის რაიონში, არტილერიის სროლის შემდეგ, მოპირდაპირემ ორჯელ იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე მდ. შარას დასავლეთის ნაპირით, პირველი იერიში მოვიგერიეთ, მეორე იერიშით, როდესაც მოპირდაპირემ მოზხამული გაზი იხმარა, ჩვენი ჯარი აიძულა დასავლეთ ნაპირიდან აღმოსავლეთის ნაპირზე გადმოსულიყო. ამ შეტევის დროს გერმანელების აეროპლანებმა დასწვეს ორი ჩვენი ჰაეროპლანი. სვიიატიჩის რაიონში, ბარანოვიჩის აღმოსავლეთით დ კიმპოლინგის ჩრდილო-დასავლეთით სროლით ჩამოვაგდეთ მოპირდაპირის ორი აეროპლანი, რომელნიც ჩვენს პოზიციაზე დაეცნენ, მფრინავები და დავატყვევეთ.

რუმინიის ბრძოლის პირი. სროლა და მზვერავთა თარეშია.

კავკასიის ბრძოლის პირი. სროლა და მზვერავთა თარეშია.

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. 13 მარტი. თემთა პალატაში ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ საჭიროა თემთა პალატის სხდომები ჩვეულებრივზე უფრო ხანგრძლივად გაგრძელდესო. ინგლისის მთავრობა სრულ უკმაყოფილებას აცხადებს იმ ზომებზე, რომელიც გერმანიის გარემოცვის (ბლოკადის) წინააღმდეგ იყო მიღებული დღემდის.

კაბული. 12 მარტი. გერმანელთა აეროპლანმა ამგვარი შინაარსის პროკლამაცია ჩამოაგდო: ჯარის კაცებო! პეტროგრადში რევოლიუციაა- ნუ თუ თქვენ ვერა ჰხედავთ, რომ ინგლისს დაღუპვის უფსკრულისაკენ მიჰყავს რუსეთი? ინგლისელებმა ჩამოაგდეს ტახტიდან თქვენი ღვთისგან არჩეული მეფე. რუსეთის ერო! ინგლისია თქვენი დაღუპვის მიზეზი. ინგლისია თქვენი ნამდვილი მტერი.

ლონდონი, 13 მარტი. ბაღდადიდან ტელეგრაფით იუწყებიან: ოსმალებმა ქალაქის დაცლის წინა დღით ქალაქი გაანადგურეს, დაანგრიეს უმავთულო ტელეგრაფისა და რკინის გზის სადგურები, გააფუჭეს წყალსადენი, დასწვეს ქარხნები და სახელოსნოები. გასძარცვეს დუქნები, მაღაზიები. ინგლისელები 26 თებერვალს შევიდნენ ქალაქში. მდინარე დიალას რომ გადადიოდნენ, მტერი საშინელ საარტილერიო ცეცხლს უშენდა. ბრიტანელები მედგრად, უშიშრად აგებდნენ ხელმეორედ არტილერიისგან დანგრეულ ხიდებს. 60 კაცისგან შემდგარი ავანგარდი მდინარის გაღმა გავიდა და ნაპირზე გამაგრდა, ვიდრე მაშველი ჯარები არ მოვიდნენ.

ლონდონი. თემთა პალატაში ბონარ ლოუმ უარჰყო ის ხმები, თითქოს გერმანელები ინგლისში შეჭრას აპირებდნენ. მემანქანეების გაფიცვების შესახებ გამართულ ინტერვიუში ბონარ ლოუმ განაცხადა: ამ გაფიცვის მიზეზის გათვალისწინება ჯერჯერობით შეუძლებელია. მე მგონია სთქვა ბონარ ლოუმ მემანქანეთა გაფიცვის მიზეზი უნდა იყოს ის გარემოება, რომ სამუშაო ქირის შემცირებას აპირობდენო.

შრომის მინისტრს მემანქანეთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკება ჰქონდა. წარმომადგენლებმა დეპეშით აცნობეს ამხანაგებს რათა მუშაობა გაეგრძელებიათ.

პარიზი. 14 მარტი. ოფიციალურად იტყობინებიან: უაზის სამხრეთით ჩვენ წინ წავიწიეთ. აგრეთვე კუსსის ტყის ქვემოთაც, რომლის ჩრდილოეთ ნაწილი სავსებით ჩვენ ხელშია. სუასსონის ჩრდილოეთით ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ერთი ფერმა და მოწინააღმდეგის საკონცენტრაციო პუნქტი. არგონებში ფურ დე პარის მიდამოსთან ჩვენი რაზმები მტერს თავს დაესხენ, მრავალი გერმანელი ტყვები ხელთ ჩაიგდეს. ლოტარინგეთში მტრის შემოტევა გავაცუდეთ.

ახალი ამბავი

◆ **საზოგადოებრივ კლუბს, სახალხო თავისუფლების პარტიის კლუბი** დაერქვა. 18 მარტს კლუბის მამასახლისთა კრება გაიმართება 25 მარტისთვის პეტროგრადში დანიშნულ ყრილობაზე წარმომადგენლების ასარჩევად.

◆ **ახალი მთავრობა ტფ. აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგს** ატყობინებს დეპეშით: სიტყვის თავისუფლება ყველას ენიჭება, მხოლო აღკრძალულია სამხედრო საიდუმლოს გამოქვეყნება; საჭიროა ჯაშუშების წინააღმდეგ ბრძოლა.

◆ **ქართულ საკულტურო-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირის** გამგეობამ დაადგინა: 1) მისალოცი დეპეშა გაეგზავნოს ახალ მთავრობას, 2) ორი წარმომადგენელი იყოლიოს ტფ: აღმასრულებელ კომიტეტში და 3) მოითხოვოს საქართველოს ავტონომია.

◆ **მასწავლებელთა შორის.** მასწავლებელნი დეპეშით აცნობებს სახალხო განათლების მინისტრს, რომ თანამდებობიდან გადაყენებულნი არიან: კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, მისი თანაშემწენი, და მთელი დირექცია სახალხო სკოლებისა.

◆ **მცხოვრებთა აღწერა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მოახდინოს ამ მოკლე ხანში ტფილისში მცხოვრებთა აღწერა.

◆ **ტფ. ჟურნალისტთა აღმასრულებელ კომიტეტის** წევრთა არჩევა მოხდება დღეს, საღამოს 8 საათზე ,,კავკ. სლოვოს'' რედაქციის შენობაში.

◆ **ვაჭრებმა** გადასწყვიტეს, საბაყლო-სამანუფაქტურო მაღაზია გახსნან გოლოვინის პროსპექტზე, მილოვისეულ მაღაზიის შენობაში. მაღაზიის ძირითადი თანხა ნახევარი მილიონი იქნება. ამ მაღაზიიდან ღარიბთ საქონელი დაკლებულ ფასებში უნდა დაეთმოთ.

თანამედროვე მდგომარეობა

4.

ეროვნული კომიტეტი.

ერთი კვირაა ჩვენს საზოგადოებაში „ეროვნულ კომიტეტის“ შესახებ არის ლაპარაკი. ყველა ქართულ პარტიას ერთ დაწესებულებაში უნდა მოეყარა თავი და საერთო ძალ-ღონით, გავლენით გაეკეთებია ეროვნული საქმე.

— უეჭველად შესდგება კომიტეტი. განა ომმა არ დაგვიმტკიცა სამშობლოს ძალა, საჭიროება გაერთიანებისა და თავდადება ეროვნებისათვის? განა რუსეთის რევოლიუციამ ერთ კომიტეტში არ მოაქცია სოციალისტი ჩხეიძე და ბურჟუა როძიანკო, კერენსკი და ლვოვი?

— ჩვენი ცხოვრება ხომ ისეთია დაახლოვებით როგორც სხვათა ცხოვრება, ისეთივე კლასები და პარტიები საქართველოში როგორც რუსეთში. თუ შეიძლება გაერთიანება რუსეთში რად არ შეიძლება ჩვენში?

— შესდგება ეროვნული კომიტეტი, საფრთხე შეუძლებელია—ამტკიცებდა მესამე.

და ყოველივე ამას ისე დიდი ნიადაგი ჰქონდა, რომ საამო ილიუზია ყველას იტაცებდა. ეროვნულ კომიტეტისათვის ყველა ქართველმა პარტიამ მუშაობაც დაიწყო, ერთადაც დაიწყეს თავის მოყრა. საჯაროდ ითქვა: ყველას შეგვიძლიან და საჭიროდ მიგვაჩნია შეერთებული მუშაობა. დასელიც ამას ამბობდა, ესერიც, ფედერალისტიც და ნაციონალისტიც.

ეროვნულ კომიტეტისათვის პირველი ნაბიჯები მოხიბლველი იყო. ერთი მოხუცი ცრემლმორეული გამოცხადდა ,,ეროვნულ კომიტეტის'' კრებაზე და წვლილიც მოიტანა. ქართველი შეძლებულნი დიდ დახმარებას აპირებდნენ, გაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ ახალ კლუბმა ამისათვის ათი ათასი მანეთი გადასდოო.

პესიმისტურ ჰანგს ჩვენც სუსტად გამოვსთქვამდით. განუმეორებელ დროში ვცხოვრობდით, ისტორიული ხანა იყო, დიდ ომის მრავალი გაკვეთილი გვქონდა შესწავლილი და ეჭვი დაგვებადა: იქნებ ყველა ამ ფაქტმა დასელების გონებაში სინათლე შეიტანა, შოვინიზმისა და ფანატიზმის გრძნობა გაალხო და ერს საბედისწერო წუთში გვერდში ამოუდგებიან-თქო.

მაგრამ მოვსტყუვდით, რომ პესიმისტური აზრი დასელების შესახებ პარტიათა გაერთიანების კრების პირველსავე დღეს ფართოდ და ღრმად არ განვავითარეთ. მოვსტყუვდით, რომ ქართველთა დიდებული ანდაზა შევბღალეთ: კუზიანს სამარე გაასწორებს. ქართველ სოც.-დემოკრატებს დიდი კუზი აქვთ და მისი მოსპობა, განკურნება მხოლოდ სიკვდილის ძალას შეუძლიან. საქართველოს სოციალ-დემოკრატია აზროვნების თვითმპყრობელობაა და რუსეთის თვითმპყრობელობის ისტორიამ დაგვიმტკიცა, რომ დიდი ხნის ტანჯვა-წვალებაა საჭირო, რომ იგი თვითმპყრობელობა დაემხოს და ერთ წუთში დამპალ ვაშლივით დაეშვას სამარეში. ჩვენ მოგვშორდა თვითმპყრობელობა, ჩვენ [illegible] ხელმწიფება გარყვნილ საჯლაჯუხათა, მაგრამ იწყება თავისუფლების სახელით ეროვნულ სინიდისის და ეროვნულ აზრის წამების ხანა. ერის სიცოცხლისათვის საჭირო ყოფილა ერის ძალთა ზვარაკად შეწირვა და ამ მსხვერპლისათვის მზად უნდა ვიყვნეთ. ეს იქნება ჩვენი ერის უკანასკნელი ტანჯვა-წვალება, უკანასკნელი აქტი საბედისწერო დრამისა...

ჩემი ტყვეობა

(ალპიის ყვავილები).

(შემდეგი *)

კომისარმა გაათავა დაკითხვა. მის წინ მდებარე საფერფლედან ნახევრად მომწვარი ციგარა აიღო, საჩვენებელი თითით ფერფლი მოაშორა, თავი ასწია და მოულოდნელად შემომხედა სახეში. მე თვალიც გაუჩერე. ისე მიყურებდა რამოდენიმე წამს, თითქოს ჩემი თვალებიდან უნდოდა ამოეკითხა რაც მისთვის საჭირო იყო. შემდეგ დადვა შუანა თითი მის წინაშე მდებარე ელექტრონის ზარას. მოვიდა ორი ხმალ-ამოღებული პოლიციის დარაჯი. მე პროტესტი განვაცხადე—ვამბობდი, რომ კიდევ 12 საათი მქონდა ვადა გერმანიის ტერიტორიიდან გასასვლელად — კომისარმა გაიღიმა ცბიერად. თქვენ მართალს ამბობთ: შეგეძლოთ წასულიყავით, ამ 12 საათით გესარგებლათ, მაგრამ მატარებელი ლინდაუში ამაღამ 9 საათზე გადის მხოლოდ და თქვენ მხოლოდ თორმეტი საათი ღა გაქვთ განკარგულებაში. ყოველ შემთხვევაში მე შევეკითხები პოლიციის პრეზიდენტს მან აიღო სუფრის ნაპირას დადებული ტელეფონის საყვირი და ყურთან მიიტანა.

მე გულის ფანცქალით ვადევნებდი თვალყურს კომისარის ტუჩების მოძრაობას...

აჰა... მან გაათავა ლაპარაკი. საყვირი თავის ადგილზე დასდვა და ისევ შემოხედა როგორც ამას წინად თქვენ შეგიძლიათ ამათ გაჰყვეთ. მე დავხარე თავი. კიდევ მქონდა იმედი. ალბად სადგურზე გამაცილებენ ეს „შუცმანები“, ვიფიქრე. დარაჯები გაღებულ კარებთან შეჩერდნენ. გაიარეთ, მითხრა ერთმა შავ ულვაშებიანმა, ბრგე, თეთრ ხელთათმანებიანმა შუცმანმა. მისი გრძელი, დაგრეხილი ზევით აწეული ულვაშები არასოდეს დამავიწყდება. დერეფანში ოდნავ ბნელოდა. მე თავჩაღუნული მივდიოდი. კიდევ არ ვიცოდი რა უპასუხა ტელეფონით პოლიციის პრეზიდენტმა კომისარს. გადაწყვეტილი იყო ჩემი დატყვევება თუ?..

„მარცხნით“! დამიძახა გრძელ ულვაშებიანმა. მე შევკრთი და ინერციულად მოვტრიალდი. აქ ხომ გასავალი არაა, წავიბუტბუტე და დახურულ ურაზო კარის წინ შევდექი. შავ ულვაშებიანმა ელექტრონის ღილს მიადო ცერი. ორიოდე წამის შემდეგ დახურული კარი გაიღო. აა, ეს ლიფტი ყოფილა! გამიელვა თავში. „შედით“ მითხრა ბრძანების კილოთი მეორე წითურმა დარაჯმა და გაქანებული კარი შეაჩერა ცალი ხელით. შევედი. ლიფტის სარკეში ჩემივე სახე დავინახე. ძალზე გაფითრებული ვიყავ. რამოდენიმე წუთის განმავლობაში მივდიოდით ლიფტით ქვეით. მუხლებში დაღლილობა ვიგრძენ და უნებლიეთ ჩამოვდექი ლიფტის საჯდომზე.

ლიფტი შეჩერდა. გამოვედით თუ არა, კედელზე გოთიურ ასოებით წარწერილ შავ დაფას მოვკარი თვალი. „ქვეითა სართული“. აქ თვალსაჩინოდ ბნელოდა. ვხედავდი ბნელაში „შუცმანების“ ბრჭყვიალა ღილებს და მუზარადის წვეტიან წვერს.

— წამომყევით! — მითხრა გრძელულვაშებიანმა. გავიარე, არ ვიცოდი კი საით გავყოლოდი. ხმის ამოუღებლად გავიარეთ სამივემ რამოდენიმე მეტრი. სადღაც კარის რაზების ჩხრიალი ისმოდა, მერე დერეფანში ვიღაცამ დაახველა...

ერთ ოთახს მივადექით. ზედ ეწერა: „ზედამხედველის კონტორა“. გრძელულვაშებიანმა ხელთათმანების გაუხდელად, ცერი მიადო ელექტრონის ზარის ფოლაქს. და მე შემომაჩერდა.

კარგა ხანს გვესმოდა კარებთან უსიტყვოთ მდგართ—შიგნიდან კარის რაზების რახხუნი და დვირის ჭრიალი. კარი გაიღო და ტან-მორჩილი, ყვითელ შლიპსიანი კაცი გამოვიდა.

შუცმანებმა დეზები დაარახჩუნეს. ბატონო ზედამხედველო! ამბობდა გრძელ ულვაშებიანი. კომისარმა ეს კაცი თქვენ განკარგულებაში... ზედამხედველმა სიტყვის დათავებაც არ დააცალა დარაჯს... ფრანგებთან თუ რუსებთან?.. წაიბუტბუტა.

— რუსი გახლავთ.

ჩაერია ლაპარაკში წითური...

გამომყევით მითხრა მკაცრად ზედამხედველმა და ხელი დამიქნია. ისე როგორც მუნჯს ან ყრუს ანიშნებენ ხოლმე...

გავყევი.

თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ მოუბრუნდა იგი დარაჯებს, ცალი ხელი ჯიბისკენ წაიღო. ბრაუნინგის რევოლვერი ამოიღო, გამოსწია რევოლვერის სამართი, გაასწორა ხელში მომარჯვა და მითხრა: აბა „მარშ“. წინ გაიარეთ! დავემორჩილე. ასე მივდიოდით რამოდენიმე წუთს ნახევრად ბნელ დერეფანში მიუხვიეთ. ახლა დერეფანში მარცხნიდან ვიწრო და გრძელ ფერადოვან შუშების ფანჯრებიდან საოცრად აჭრელებული სინათლის ზოლები შემოდიოდა... ასეთი ფანჯრები გოთიურ სტილზე აშენებულ ეკლესიებში მინახავს.

მე კიდევ ვერ გამოვერკვიე სად მივყავდი ამ კაცს, რომელსაც „ზედამხედველს“ ეძახდნენ დარაჯები.

უკვე დერეფანი გავიარეთ. მარცხნით კიბე ჩადიოდა. ზედამხედველი კიბის თავთან შეჩერდა: „ობერ-მაიერ“ დაიძახა მან... პასუხი არავინ გასცა. „ობერ-მაიერ“ გაიმეორა მან... კვლა სიჩუმე. ჰალო!..

„ახლავე, უპასუხა ვიღაცამ. გავიგონე ვიღაცამ კარები გააღო და მიხურა ქვევითა სართულში. ფეხის ხმა მოისმა. ერთი კაფანდარა „მეფისტოსებურ წვეტიან-წვერიანი კაცი ამოვიდა კიბეზე. მე-22 ნომერი სავსეა? ჰკითხა ზედამხედველმა.

— არა ბატონო დღეს სამი სერბიელი მოიყვანეს უპასუხა ობერ-მაიერმა...

რუსებთან აღარაა ადგილი?

— არც იქა. წაიბუტბუტა უცნობმა და წვერზე ხელი ჩამოისვა

ერთი საკანი ცარიელია,—ინგლისელების განყოფილებაში სთქვა იმ მეფისტოსებურ წვერიანმა კაცმა, რომელსაც ობერმაიერს ეძახდა ზედამხედველი. ზედამხედველი წავიდა. ჩვენ მარტო დავრჩით. მაღალმა კაცმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, კლიტეების ბღუჯა ამოიღო. კლიტეების რახხუნზე ტანში რაღაც უსიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა. აბა, წამობრძანდით, მითხრა მან, თანაც სახეზე შემომაჩერდა. მე წინ გავიარე. ასე მივდიოდით ხუთიოდე წუთი. უკვე ბნელ უფანჯრო დერეფანში შევედით. ჩემმა მეკლიტემ ელექტრონის ჩამრთველი გადაატრიალა. მარცხნით პატარ-პატარა, გარედან დახაზული კარები იყო ჩამწკრივებული. შესდექით, მომესმა. შევჩერდი. ერთი პატარა კარი გააღო. აბა შედით... მითხრა. მე სრულიად უაზროდ შევედი ბნელ ოთახში. არსაიდან ჭაჭანება, ოთახში სრული მყუდროება იყო. მაღალ ვიწრო ფანჯრიდან, ეზოდან ელექტრონის სინათლის მკრთალი ზოლი და მისდგომოდა მოპირდაპირე კედელს.

საშინლად დაქანცული ვიყავ წაბარბაცდი იმ კედლისკენ, სადაც ფანჯარა უნდა ყოფილიყო. რაღაცას ფეხი წავკარი. დავიხარე, ავიღე. ბნელში ვერ გავარჩიე. მივიტანე იმ კედელთან, სადაც ფანჯრიდან შემოსული ელექტრონის სინათლის ზოლი იყო მიმდგარი.

გავარჩიე ინგლისური ჟოკეის შავკარტუზიანი ქუდი.

გულმოსულმა, ქუდი ისევ იატაკზე დავაგდე, ხმაურობაზე ვიღაცას ბნელი სილუეტი წამოიჭრა მახლობელ კუთხიდან. რაღაც დამიძახა. მე ვერ გავარჩიე, თუ რა მითხრა. შემდეგ წამოდგა, მომიახლოვდა და სახეში ჩამაჩერდა, ისე როგორც ბნელაში მოულოდნელად შეხვედრილი ადამიანები ჩაჰხედავენ ხოლმე—ერთმანეთს.

„იუ შპიკ ენგლიშ“?[1] მკითხა მან.

მე თავი გავაქნიე უარის ნიშნად.

— „ფრენჩ“?[2] წაიბუტბუტა მან ისეთივე წვრილი და ხრიწიანი ხმით, როგორც ამას წინად.

— დიახ, უპასუხე მე გერმანულად.

როგორც კი ჩემგან გერმანული გაიგონა, მობრუნდა და კუთხისკენ გაემართა. სახტად დავრჩი შუა ოთახში, იქ სადაც ვიდექი.

— არ გინდათ ჩამოჯდეთ? მკითხა მან.

— განა არის რამე ჩამოსაჯდომი? ვკითხე.

— აი საუცხოვო წამოსაწოლი! მიპასუხა ირონიულად.

რამოდენიმე ნაბიჯი გადავდგი ბნელში მჯდარ უცნობისაკენ. ხელ-მეორედ გავკარი ფეხი იმავ ჟოკეის ქუდს დავიხარე. ავიღე. თქვენი ხომ არ არის ეს ქუდი? ვკითხე.

— დიახ ჩემია, მიპასუხა უცნობმა. მერე აქ იატაკზე რა უნდოდა?

— მე შეღამებულზე მომიყვანეს. ქუდი ქვეით დამეტოვებინა. ვთხოვე ზედამხედველს ქუდი გამოეგზავნათ, რადგან თავზე მცივოდა. ამოიტანა. კარი შემოაღო, შემომიგდო საკანში.

ვეძიე ბნელში, ვეღარ ვიპოვე. მერე თავი მივანებე.

„მერსი ბიენ“. მითხრა თავაზიანად.

თქვენ შეგიძლიათ გასწვრივ „პრიტშაზე“ წამოწვეთ, მითხრა ინგლისელმა.

მოპირდაპირე კედლისკენ წაველ, ხელის ფათურით ვიკვლევდი გზას, რათა ლოგინს არ დავეტაკებოდი.

ამგვარად კედლამდის მივედი. „აქ ხომ არავითარი ლოგინი არაა, დაუძახე.

— ვერ იპოვეთ? ალბად აკეცილი იქნება.

ხელი მოუსვი კედელს. მოვეძიე, მაგრამ ვერ მოვაშორე კედელს.

— ვერაფერი გააწყვეთ? იქ რაზა ექნება სადმე. თქვა მან, წამოდგა, მომეშველა და ლოგინი ჩამომიკეცია.

გავწექი ცივ უმატრასო ფიცრის ლოგინზე. ჩემი ქუდი სასთუმლად დავიდევი.

ინგლისელს მალე ჩაეძინა.

მოუსვენრად ვტრიალებდი გვერდიდან გვერდზე. მთელი ღამე მესმოდა მახლობელ კათოლიკეთა ეკლესიის საათის მონოტონური რეკა, სატუსაღოს ეზოდან ავტოს ღმუილი და „შუცმანების“ ხმა მაღალი ლაპარაკი და ფეხის ხმა.

ქ. ა.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „სახ. ფურც.“ № 815.

[1] ინგლისურად ნიშნავს: თქვენ ლაპარაკობთ ინგლისურად.

[2] ფრენჩ—ფრანგულად.

ეროვნული კომიტეტი იმ სახით რა სახითაც უნდა შექმნილიყო აღარ იქმნება. მოკვდა ერთი ფორმის ეროვნული კომიტეტი, მაგრამ უნდა შეიქმნას სხვა სახის. ეროვნულ ბრძოლის გაღვივება გვმართებს, დღეს თავისუფლების ხანაა და უნდა განთავისუფლდეს არა მხოლოდ კლასი ჩაგრულთა არამედ უნდა განთავისუფლდეს დაჩაგრული ერიც. ერის თავისუფლებისათვის ბრძოლა!—აი საფუძველი ჩვენი ეხლანდელი არსებობისა, ფიქრისა, მისწრაფებისა და ამის გარეშემო უნდა შეიქმნას ყოველგვარი საზოგადოებრივი კომბინაცია. მაგრამ აქ საზოგადოებას უნდა გავაცნოთ მიზეზი „ეროვნულ კომიტეტის“ მარცხისა.

ეროვნულ კომიტეტის შეუძლებლობა მხოლოდ მეხუთე კრებაზე გამოირკვა სავსებით. ოთხი კრება გავატარეთ დასელების ცდაში, ოთხ კრებაზე გაისმოდა დასელების მიკიბულ-მოკიბული ლათაიები. თითქმის ყოველ კრებას ესწრებოდნენ დასელები, თითქმის ყველაზე მეტს ლაპარაკობდნენ, მაგრამ თვითონვე ამბობდნენ: ყური დამიგდეთ, მაგრამ ნურაფერს დამიჯერებთ, ვილაპარაკებთ მაგრამ აზრი და სახე არ ექნება ჩვენ ნათქვამსო. მხოლოდ ჩვენშია შესაძლებელი უსახო ხალხი, ხალხი უპასუხისმგებლო, ხალხი მონის სადარი, რომელიც ცხოვრობს არა აზრისათვის, არა რწმენისათვის, არამედ სულიერ თვითმპყრობელობისათვის. არ მჯერა ჩვენი თავისუფლება ვიდრე მონები, თუნდ ეს თავისუფლების მონანი იყვნენ—არ მოისპობიან. ჯერ ადამიანები უნდა ვიყოთ, პიროვნებანი და მხოლოდ შემდეგ შეგვიძლიან თავისუფლებისათვის ხმა ამოვიღოთ.

მკითხველს მოეხსენება, რომ სოციალ-დემოკრატია რამდენიმე ფრაქციად, ნაწილად არის დაყოფილი. ხანგამოშვებით პარტიის ნაწილები შეერთდებიან ცხრა თავიან მდევსავით. დღეს ასეთ მდევთან გვაქვს საქმე. რაკი ეს ნაწილები გვწამდა „კომიტეტმა“ მათ ათი ადგილი დაუთმო სხვა და სხვა მიმართულების წარმოსადგენად, დასაცავად. კომიტეტის უკანასკნელ კრებაზე, რომელიც უნდა ყოფილიყო დამფუძნებელი კრება დასელების მხრივ მხოლოდ ორი კაცი გამოცხადდა, ხოლო ნაწილთა შეხედულება წარმოუდგენელი დარჩა. აქ მკითხველს უნდა მოვაგონო ერთი ამბავი. კომიტეტის ერთ-ერთ კრებაზე დასელთა ფრაქციის წარმომადგენელმა მოითხოვა: პარტიები სხვა და სხვა პიროვნებას ნუ გამოგზავნიან, საქმის დასაწინაურებლად, საჭიროა ერთი და იგივე კაცის გამოგზავნაო. ეს განცხადება პირველად მას დაავიწყდა და როცა საკითხი სწყდებოდა დასელებმა სულ ახალი კაცები გამოგზავნეს. ვათვალიერებდი დარბაზს, დამსწრეთ, მაგრამ „ბუმბერაზი“ ადამიანი არსად სჩანდა. არ იყო წარმომადგენელი არც დასელთა მთავარ ნაწილისაგან, არც ერთ ფრაქციისაგან! თურმე დასელების ნაწილებიც მონები ყოფილან მთავარ სხეულისა, თურმე ეროვნულ საკითხში მათი აზროვნება და პრინციპიალური სხვაობა ზღაპარია, მათი სიტყვა ძილისპირის მოთხრობაა ნებისყოფას მოკლებული.

დიაღ, კომიტეტის დამფუძნებელ კრებაზე გამოცხადნენ დასელთა მონურ წყობილების მონარქები, რომელთაც თავდაყირა დააყენეს „ეროვნულ კომიტეტის“ ზრახვანი. დასელებმა მოითხოვეს: 1) ეროვნულ საკითხისათვის პრაქტიკული, აქტუალური მუშაობა ეხლა არ შეიძლება, დამფუძნებელ კრებამდე უნდა გადაიდოს ეს საქმე; 2) ეხლანდელ მუშაობას მხოლოდ აკადემიური ხასიათი ექნება; 3) მაშასადამე ეხლა ძნელია თქმა მინიმუმზე შევთანხმდებით თუ არა.

ეროვნული კრება არსდებოდა იმიტომ, რომ ეხლავე დაეწყო მოქმედება, ეს იყო უმთავრესი პარტიათა ზრახვისა, დასელებს კი ეხლა ეროვნული ბრძოლის დაწყება რეაქციონურ საქმედ მოსჩვენებიათ. დასელების განცხადება უაზრო და უშინაარსოა მთელი თავის არსებით. ის გამოხატავს აბსოლიუტურ უმეცრებას, უნდობლობას და სიძულვილს ეროვნულ საკითხისას, მასში გამოხატულია მონობა და ტყვეობა სულისა. პეტროგრადში ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოებმა სამართლიანად იცნეს ერებისათვის პოლიტიკური ავტონომია, საბჭოსთან აქტიურ შემოქმედებისათვის საგანგებო საბჭოც დაარსეს, რომელსაც სოციალისტური ელემენტები ეპატრონებიან. თუ რუსეთში ეროვნული ბრძოლა რევოლუციონური ძალა, რად იქნება ის რეაქციონური ჩვენში? დასელებმა სთქვეს: ჯარი ცუდად ახსნის ასეთ ბრძოლასო. მაგრამ რად არ ხსნის ჯარი ამავე საქმეს ცუდად ლიტვაში, უკრაინაში, ფინლანდიაში, პეტროგრადსა და მოსკოვს? განა ჩვენში მყოფი ჯარი სხვა ჯარია?

ეს მოტივი ბავშურია, უმეცრულია, კრიტიკის ღირსიც არ არის ჩვენ ისღა გვაოცებს, რომ ასეთ მოტივით როგორ გამოდის ცხრა თავიანი ხალხი! მაგრამ ეს მოტივი დასელებმა იმიტომ მოიყვანეს, რომ რაღაცა უნდა სთქვან. ეროვნული საკითხის მიფუჩეჩებას ვერ ბედვენ, მაგრამ ვერც მიღება მოუხერხებიათ. ეს ძალიან კარგად გამოირკვა, როცა მათმა წარმომადგენელმა ინტერნაციონალის ამბავი დაგვიწყო. როგორ უნდა შევვერთდეთ როცა ინტერნაციონალს სულთათანას უგალობთ, ჩვენ კი იგი უნდა აღვადგინოთო?

მოდით და ამას შემდეგ ნუ იტყვით მონებთანა გვაქვს საქმეო. ის ინტერნაციონალი, რომლის სიკვდილი პირველ-ყოვლისა თვით სოციალ-დემოკრატიამ—როგორც ასეთმა—აღიარა, არ აღსდგება და თუ ააყენეთ, დიდ შემთხვევის დროს ისევ წაიქცევა როგორც წაიქცა. კიდევ ააყენებთ, კიდევ წაიქცევა და თუ სოციალ-დემოკრატიას მოსწონს „ვანკა-ვსტანკას“ ისტორია, დეე საჯაროდ სთქვან ესა. ეროვნული ბრძოლის დაწყებით ინტერნაციონალს კი არ ვსპობთ, არამედ ინტერნაციონალის საქმეს ვემსახურებით. ვინაიდან ინტერნაციონალი უნდა აღმოცენდეს ისე, როგორც სოციალ-დემოკრატი ბეკერი ამბობდა:—ერთა ფედერაციით. ეროვნულ ბრძოლის ეხლავე გაღვივება ამისათვისაა საჭირო და მხოლოდ ეს მოასწავებს სხვა ერის ინტერესის დაცვას.

შეიძლება ყველას კარგად არ ესმოდეს ეს აზრი და საქმე, მაგრამ როდის უნდა განვამტკიცოთ ასეთი აზრი თუ არა რევოლიუციის და სახალხო მიტინგების დროს. ეხლა ეროვნული ბრძოლის რეაქციის საქმედ დასახვა თვითვე რეაქციონური ნაბიჯია, პროვოკაციაა, პოლიტიკური გარყვნილებაა. ვავრცელებთ ყალბ აზრს, ყალბ ცნობას რაიცა მოსწამლავს მრავალს შეუგნებელს. ასეთ აზრის გამოთქმაც შეუწყნარებელი დანაშაულობაა.

გერმანიის სოც.-დემოკრატიამ ძველ ინტერნაციონალის გმირის—ლიბკნეხტის რეიხსტაგიდან გაძევებას სათანადო ყურადღება არ მიაქცია. იმიტომ, რომ გერმანიის ხალხი არ იყო ლიბკნეხტის მხარეს. ლიბკნეხტმა თავისი ადგილი თანამოაზრე მერინგს დაუთმო, დიდად ცნობილს, მაგრამ ხალხმა მერინგი გააშავა და ათჯერ მეტი ხმა მისცა სრულიად უცნობს, მაგრამ ეროვნულ პრინციპის დამცველ დასელს—შტალს. ასე იქცევა ხალხი და ჩვენში კი გამოდიან ადამიანები პატრიარქალურ აზრებს გვიცხადებენ და არ აკვირდებიან ნათქვამის მნიშვნელობას.

ეროვნული ბრძოლა ეხლავე უნდა გაჩაღდეს. ეს იქნება რევოლიუციის გამაგრება, გამტკიცება, ეს იქნება ჩაგრულ ერის განთავისუფლება, ეს იქნება კავშირის შექმნა, ესე იგი ნამდვილ ინტერნაციონალის სამსახური. ამ საქმეში დღემდე დასელები ხელს გვიშლიდნენ. არც აპირებენ ხელის შეწყობას. ამიერიდან მათთან ჩვენ ერთნაირი დამოკიდებულება გვექნება:—ბრძოლა. დავანგრიეთ თვითმპყრობელობა მონარქიისა, მაგრამ უნდა დავანგრიოთ თვითმპყრობელობა დასელებისა,—მხოლოდ შემდეგ ვილაპარაკებთ თავისუფლად და თავისუფლებაზე.

თედო ღლონტი.

მშრომელ გლეხობის პარტია

მოსკოვის ერობის საგრონომიო წრეებში ამ ჟამად დიდი კამათები იმართება.

საერთო აზრია, რომ შეუძლებელია გლეხობა მარტო პოლიტიკურის პროგრამით დავაინტერესოთ. გლეხები არ მიიღებენ მონაწილეობას დამფუძნებელ კრების არჩევნებში მარტო იმისთვის, რომ ასე თუ ისე გადაჭრან პოლიტიკური საკითხი, რუსეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილების ბედი.

გლეხებისთვის აუცილებლად საჭიროა ისეთი პროგრამა, რომელიც წმინდა პოლიტიკურ საჭიროების დაკმაყოფილებასთან ერთად გადასწყვეტდეს მათ აგრარულს, საადგილმამულო საქმეს, მისცემდეს მიწას.

ამ მიმართულების მეთაურია მოსკოვის საგუბერნიო ერობის აგრონომი მინინი, რომელმაც შეადგინა გეგმა მშრომელ გლეხობის პარტიის დაარსებისთვის. ამ პარტიას უნდა დაედვას საფუძვლად ხალხოსნური სოციალისტური პარტიების პროგრამა, ხოლო უნდა შეტანილ იქნეს ცვლილება, რომლის აუცილებლობა დაგვიმტკიცა უკანასკნელი 12 წლის გამოცდილებამ.

რევოლიუციის სხივები გურიაში

ოზურგეთი. ჯერ კიდევ ოფიციალური ცნობები, ძველი რეჟიმის დამხობისა მოსული არ იყო, რომ აქა-იქ ჩუმათ, მონურად გაიძახოდნენ: „რუსეთში რევოლიუცია დაიწყოო“ და მათი ხმა გამართლდა, ყველგან ელვის სისწრაფით მოედვა; მეფე ტახტიდან გადადგა, დახავსებული და გარყვნილი მოხელენი დატუსაღებულია და მრავალი სხვა, რაც აღფრთოვანებას გვრიდა ხალხს და ელოდენ მიტინგს, რომ საჯაროდ გადმოენთხიათ მოგროვებული გრძნობები და სიძულვილი ძველი მთავრობისადმი. მიტინგიც გაიმართა 7 მარტს, სწორედ იმ ადგილას, სადაც 1905 წ. პირველად გურიაში აღაფრიალეს მთავრობის შიშის ქვეშ მყოფებმა „წითელი დროშა თავისუფლებისა“, მაგრამ პირველი მიტინგი და ახლანდელი, ძლიერ შორს არიან ერთმანეთთან. 1905 წ. თითებზედ ჩამოსათვლელი ხალხი, დღეს „ზღვა ხალხად“ შეიცვალა.

მიტინგი გახსნა ქალაქის მოურავმა დ. ერისთავმა, რომელმაც მიულოცა ხალხს და ჯარს თავისუფლება და აღნიშნა დიადი მომენტის მნიშვნელობა. ამის შემდეგ ამოირჩა თავმჯდომარედ ი. ღლონტი ერთხმად, რომელმაც რუსულად ჯარის გასაგონად და ქართულ ენაზედ წარმოსთქვა სიტყვა. ღლონტის შემდეგ ილაპარაკეს შემდეგმა ორატორებმა: მ. საბაშვილმა, ს. ცხომელიძემ, ჯარის კაცმა—ლომთათიძემ, აპ. წულაძემ და თედორე კიკვაძემ, უკანასკნელი ტფილისის მუშებისა და ს.-დემოკრატ. პარტიის სახელით მიესალმა ხალხს. ორატორთა ლაპარაკის გათავების შემდეგ, გამოტანილ იქმნა რეზოლიუციები, რომელიც უნდა გაეგზავნოს ახალ მთავრობას.

შემდეგ ამორჩეულ იქმნა დროებით აღმასრულებელი კომიტეტი, (წინდაწინვე შედგენილი სიით და არა ხალხის მიერ, მაგრამ ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებ). კომიტეტში შედიან შემდეგი პირნი: 1. დიმ. ერისთავი (ექიმი), 2. ბ. ღლონტი, 3. სვ. ცხომელიძე (კოოპერატივის გამგე), 4. მიხ. საბაშვილი, 5. ანტ. მუჯირი (ვაჭარი), 6. ის. კვაჭანტირაძე, 7. ივ. ბ. ღლონტი, 8. ყ. ქარცივაძე, 9. ვ. კალანდარიშვილი, 10. ბ. ხელაძე, 11. ალ. კალანდაძე (ვაჭარი), 12. გ. ქიქოძე, 13) ნ. დოლიძე. 12 ს.-დემოკრატია და ერთი სოც.-ფედერალისტი. ამ კომიტეტში უნდა შევიდნენ გლეხების წარმომადგენელნიც და ერთად შეუდგნენ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც დროებით განაგებს ყოველივე ხალხის საჭიროებას და ხალხთან ერთად აღიარებს ახალ მთავრობას.

ალ. მხეიძე.

ჩოხატაური. პარასკევს, 10 მარტს დ. ჩოხატაური საოცარ და აღმაფრთოვანებელ სურათს წარმოადგენდა. დილიდანვე აურაცხელმა ხალხმა იწყო დენა ბაზრის მოედნისაკენ. ამინდმაც თითქო განგებ ხელი შეუწყო თავისუფლების ზრახვის გამოხატვას! მზემ თითქო დღეს გამოანათა განსაკუთრებული სხივებით, თითქო მანაც იგრძნო ძველი დამყაყებული და სულთამხუთავი მთავრობის დამხობა. თავისუფალ ტრიბუნაზე აფრიალებულია წითელი დროშები ნიშნად ხალხის თავისუფლებისა, თანასწორობისა, ძმობისა და ერთობისა. საათის თორმეტზე სოფლებიდანაც შემოდის ხალხი თავ-თავიანთი დროშებით. პირველ საათზე იწყება ორატორების სიტყვები. ლაპარაკობენ სოც.-ფედ. და სოც.-დემ. პარტიის სახელით. წესიერება შესამჩნევად არის დაცული. აქვე გამოაქვთ რეზოლიუციები: გაეგზავნოს დეპეშები პეტროგრადში დროებით მთავრობას და მუშათა დეპუტატების საბჭოს. არჩეულ იქმნა აღმასრულებელი კომიტეტი ამავე დღეს ადგილობრივ ადმინისტრაციას იარაღი ახადეს და წესიერებას მილიციონერები იცავენ.

ამხაითელი.

რუსული პრესა

„კიევსკაია მისლის“ თანამშრომელი ნ. ნაროდინი, სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის წევრი გაზეთ „კავკაზში“ სწერს იმ ტაქტიკის შესახებ, რომელსაც კავკასიის სოციალ-დემოკრატია დასდგომია. იგი სწერს:

„დროებით მთავრობა ჰგზავნის აქ კომისარიატს, რომელიც დაემყარება ადგილობრივ მართვა-გამგეობის ორგანოებს,—საზოგადოების აღმასრულებელ კომიტეტებს და კავკასიის მართვა-გამგეობის სისტემას შეიმუშავებს. კომისარიატი მოდის დროებით მთავრობის უფლებით, იმ მთავრობის ნდობით აღჭურვილი, რომელსაც მთელმა რუსეთმა განუცხადა ნდობა და რომლის პროგრამაც ერთხმად მიღებულია, არავინ არის წინააღმდეგი. კომისარიატი მოდის არა როგორც მეფის ნაცვალი, არამედ როგორც ისეთი ორგანო, რომელიც ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებულად იმოქმედებს.

მუშათა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა კი უკვე აჩქარებით განაცხადა: უარვყოფ მომავალ კომისარიატსაო... რამ გამოიწვია ასეთი ნაბიჯი?

შემდეგ ავტორი ჰგმობს სოციალ-დემოკრატების დიქტატურას და რევოლუციის დამღუპველად მიაჩნია.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

			ს. წ.	
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
"	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
"	სამგზ.	№ 8,	3.49	დღ.
"	საფ.	№ 4,	9,23	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8.28	დილ.
ხაშურის სამგზ.		№ 5,	9.10	დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	8 37	დილ.
"	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	[illegible]
"	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
"	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ხაშურიდან სამგზ.		.	6.34	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.

ექიმი
ზ. გ. ნარიმანოვი
ვენეროულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. $5\frac{1}{2}$ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო დ საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა [illegible] კირპიჩნი ქუჩის შესახვევის 21

ექიმი
თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათ. მისამართი კიროჩნი ქ. 18. ტელეფ. 11-82
216

ექიმ ნავასარდიანის.
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის ავადმყ.).
ბ. გ. აგახაროვი: $9\frac{1}{2}$—2 ს. ბავშვთა-შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.

ექიმი
კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა [illegible] ქვენიეცის ქუჩა № 4. სასტუმრო [illegible] ტელეფ. 15—00.
008

ქუთაისში
ექიმი
მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9—1 ს., საღამოს 5—8 ს. ტფილისის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. 1051

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი ქალი
ს. ზ. მირზოევი,
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს $1\frac{1}{2}$—$3\frac{1}{2}$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელეფ. 16—67.

ექიმმა
ფავლენიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მუხრანის და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31. 151

ექიმი
მ. დ. წინამძღვარიშვილი
ყოფილი ორდინატორი თერაპევტიული კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. გულისა, ფილტვისა და ხიხხლის სნეულ. სპეციალურად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 86, მეორე სართული. 1059

საექიმო კაბინეტი ექიმ
კ. ს. ფონ-ირტელისა
სპეციალისტი ქირურ., საშარდე-საშვილ., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.), წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914“ და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესახვ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1852

ექიმი
ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა. ვერის მოედანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გახსნილია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1064

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მიგვდის ახალი [illegible] ხიზილალა, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზ[illegible]ლა. მივიღ[illegible] საუკეთესო სალიანის შემაიბი. მუდმივ გვაქვს ორაგული. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის შუთხი თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე [illegible] ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ[illegible] ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება.
1085

აუქციონი
ტფილისის საქალაქო ლომბარდი
საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 19 მარტს, დილის 10 საათზე
ლომბარდის შენობაში
საჯაროდ გაიყიდება
ვადა-გასულ დაგირავებული ნივთები ძვირფასი ლითონისა (თითოეული დაგირავ. ნივთი ღირს 120 მან. 2500 მან.) ქვები, საკერავი ანქანები, ხალიჩები შიგრინის ტყავი და სხვა. 53

ქალებისა და ბავშვების ტანისამოსის
სახელოსნო
თ. მიქელაძისა
(სასახლის ქუჩა, თეატრის ეზო)
მიიღება შეკვეთა და შესრულება საუკეთესო ხელოსნებისაგან, კოხტად და თავის დროზე.
ჩემსავე მაღაზიაში (თამამშევის ქარვასლაში, ზემო სართული, № 31—32), არის ბლომად უკანასკნელ ფასონის ქალების ზემო ტანისამოსი. ფასები ძლიერ ზომიერია. გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ. 827

სუსუნატით (ჭინჭარეა)
ავადმყოფებს
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისთვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძინენ ცნობილ საშუალებას „რეზუროლინი“, რომელიც სულ [illegible] არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჰაჭებისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება
იმიტომ რომ
ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,
მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს საშუალება „რეზუროლინი“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ
რეზუროლინი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლათ მოსარჩენათ ახალი ავადმყოფობისა ღირს 21 მანეთი, დაძველებულისა 35 მან. 50 კ. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 5 მანეთის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის ფარმაცევტ ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16, ბინ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.
За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорис-Меликовская № 16 отд—1—1. на противъ Государственнаго Банка.

[illegible]